



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49211489

თარიღი:28/05/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 31

2021 წლის 28 მაისი

ქ. წყალტუბო

სოფელ მაღლაკში, კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ეზოს აღმოსავლეთ მხარეს ბეტონის დეკორატიულ ღობეზე ტარიელ გოგისვანიძის, იასონ ჟორჟოლიანისა და ბუდუ ბობოხიძის

მემორიალური დაფების განთავსების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ განიხილა საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თენგიზ ნიჭარაძის 2021 წლის 27 მაისის განცხადება, რომელიც შეეხებოდა სოფელ მაღლაკის სამი გამოჩენილი პიროვნებისათვის - ტარიელ გოგისვანიძისათვის, იასონ ჟორჟოლიანისა და ბუდუ ბობოხიძისათვის მემორიალი დაფების განთავსების საკითხს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად:

1. სოფელ მაღლაკში, კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ეზოს აღმოსავლეთ მხარეს ბეტონის დეკორატიულ ღობეზე განთავსდეს ტარიელ გოგისვანიძის, იასონ ჟორჟოლიანის და ბუდუ ბობოხიძის მემორიალური დაფები.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

